# ქართული ნაციონალური დისკურსი და მუსლიმი თემის იდენტობა და მეხსიერება აჭარაში

ლელა ბერიძე

**სამაგისტრო ნაშრომი**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

**პროგრამა: სოციოლოგია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით.

ლელა ბერიძე

# აბსტრაქტი

ნაშრომის თემა ფოკუსირებულია აჭარაში მცხოვრებ მუსლიმთა და ქრისტიანთა თანაცხოვრების და მუსლიმთა იდენტობაზე ნაციონალური დისკურსის გავლენის ძირითად ასპექტებზე. ნაშრომის მიზანი იყო ეჩვენებინა ნაციონალური დისკურსის დინამიკა და მისი გავლენა აჭარაში მცხოვრებ მუსლიმ თემზე, ასევე, ეჩვენებინა ეს უკანასკნელი გაქრისტიანებული აჭარლების მონათვლის მოტივებში. თემის აქტუალობას განსაზღვრავს საკითხის სიმწვავე, რომელიც მხოლოდ რელიგიური განსხვავებულობის ნიშნით არ შეიძლება აიხსნას.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდებით, ემპირიული მასალის ანალიზის შედეგები აჩვენებს მე-19 საუკუნიდან დღემდე აჭარელ მუსლიმთა იდენტობაზე გავლენის მქონე რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს და ცხადყოფს მართლმადიდებელი ქრისტიანობის და ქართული ნაციონალობის გადაჯაჭვულობის დისკურის გავლენის შედეგებს მუსლიმთა თვითაღქმაზე. ამასთანავე კვლევა აჩვენებს ახალმონათლულ აჭარელთა გაქრისტიანების მოტივებში დომინანტური დისკურსის გავლენას და კონვერსაციის ნაბიჯს ამ უკანასკნელით დეტერმინირებულს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კულტურული მეხსიერება, საერთო ისტორია, მეხსიერების ადგილები, კომუნიკაციური მეხსიერება, ნაციონალობა, ნაციონალიზმი, დისკურსი, კონვერსაცია.

# Abstract

The topic of the thesis is focused on the main aspects of cohabitation of muslims and christians living in adjara, and the influence of national discourse on muslim identities. The purpose of the thesis was to demonstrate the dynamics of the national discourse and its impact on the muslim community living in adjara, as well as, to expose a particular role of the influence in the motives of their christianization. The relevance of the topic is determined by the severeness of the issue that can not be explained only in terms of religious difference.

The research was made based on qualitative methods; results of the empirical material analysis shows religious, political and social processes influencing adjarian muslims' identity from 19th century to present time and exposes consequences of the influence of interweaving discourse of orthodox christianity and Georgian nationality on self-perception of muslim community. Withal, the research shows the influence of dominant discourse in motives of christianization of newly-baptized Ajarians and in their decisions of conversion.

**Key words:** cultural memory, shared (common) history , places of memory, communicative memory, nationality, nationalism, discourse, conversion.

# მადლობა

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს მოტივაციისა და კვლევისთვის რელევანტური რჩევებისათვის. ასევე, მადლობა ჩემს ჯგუფელებს, რომლებიც კვლევის პროცესში მამხნევებდნენ და მიზიარებდნენ კვლევით გამოცდილებებს.